

572/2
1989/2

ISSN 0132-4965
ՀԱՅԿԵՏՆԻ
ՆՈՒՆՈՒԹՅՈՒՆ

ՀԱՅԿԵՏՆԻ ՆՈՒՆՈՒԹՅՈՒՆ
ԵՐԵՎԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆԻ ԿՈՄԻՏԵ



1989 ՈՅԵՈՒՆ N-6

ՀԱՅԿԵՏՆԻ

1 ივნისი გავფრთხილებ სამშობუროდ დღე



ეველანე ლამაზი

ლია კობალაძე


ეველანე ლამაზი სახელი ვინ ჰქვია?
 შატავს, თორნიკეს, როსტომს თუ ფიქრის?
 ვინ არის, ნეტავი, ეველანე ლამაზი,
 მარიკა, მამუკა, თიკო თუ თამაზი?
 რითა ნაკლები ან ღიკა, ან გია,
 სახელი? სახელი სუუველა კარგია,
 გურქმევა ციანა,
 თამთა თუ თამარი,
 სახელი კი არა, —
 ქცევაა მთავარი!
 ეველანე ლამაზი სახელი მას ჰქვია,
 ვინც კარგად სწავლობს და არ არის ბეჩია.
 ვინც მამულს არგია, ვინც უქმად არა ზის,
 ის არის, ბავშვებო, ეველანე ლამაზი!
 ბეჯითი, კარგი და სიკეთის მწერგავი
 ლამაზი იქნება ვოველი თქვენგანი!..





ხრობთ.

იმ დღეს, როდესაც მაღალმა ალუბმა უაზრავი ფოთოლი მოისხეს, პატარა ალუბის ხემ თავის წაჭობდ შტოზე სახი ფოთოლი აღმოაჩინა, თითოზე თითო.
ჯერ ასე ეგონა, რომ წუხელ, როცა მის ღრმად ეძინა, ეს ფოთლები საიდანღაც მოფრინდნენ, მის შტოებზე დასახელებლად დახდნენ და მალე ისევ გაფ-



ტანწირნება ალუბის ხე

პრლომ ახვლედიანი

გაზაფხულად.

ლობს გადაღმა, მაღალი ალუბის ძირას, ბაღახთან ერთად ამოვიდა პატარა ალუბის ხე.

თავდაპირველად ბაღახს ეგონა, — ისიც ბაღახი იყო. თვითონ ალუბის ხესაც ბაღახი ეგონა თავი. მართლაც, ამა საიდან უნდა სცოდნოდა პატარა ალუბის ხეს, ბაღახი იყო თუ ალუბა?

მაგრამ, ერთ მწვენიერ დღეს, პატარა ალუბის ხემ სიხარულით აღმოაჩინა, — ის ბაღახი კი არ არის, არამედ ალუბის ხეა.

გავიდოდა დრო და ისიც ალუბის ხეებივით ტანწურწევა გახდებოდა.

მაგრამ არ ეწერა პატარა ალუბის ხეს სხვა ალუბით ვით მაღალი გაზრდილიყო.

სამაგიეროდ...

თუმცა ცველაფერს თანმიმდევრულად მოვით-

საქ. სსრ კ. შარკოსის
სახ. სსს. სსრ.
პ. ზღ. წმინდა



რინდებიან.

ნიადაგი დააბერა, მაგრამ ფოთლებს გაფრენის არც უფიქრიათ.

«თუ ჩემთან უნდათ ყოფნა, არ დაეუშლით». — გათვითრა პატარა ალვის ხე.

მალე ალვის ხე ღობის სიმაღლე გახდა. მას ძალიან სურდა ეზოში გადაეხედა, რადგან იქიდან მუდამ მზარული ვრამული ისმოდა. ფეხის წვერებზეც კი აძწა, მაგრამ ეზოში ვერ გადაიხედა.

«ახლა უნდა ვიდეგ და ველოდო, როდის გაიზრდები და მათეს ეზოში გადავიხედავ». — წუხდა პატარა ალვის ხე.

მაგრამ აღარ დაელოდა გაზრდას და მეორე დღეს უკვე ღობის გადაღმა, მათეს ეზოში აღმოჩნდა. მითუმეტეს, მისთვის არავის უთქვამს, ხის ხიარული არ შეიძლება.

იგი აქცა არავის შეუმჩნეველი, ყველას ჩეულებრივ ბაღახი ეგონა.

ეს, ცოტა არ იყოს, ეწეინა პატარა ალვის ხეს და მესამე დღეს ის უკვე შუა ეზოში იდგა.

აქ კი ყველამ შეამჩნია. ეზოს ბინადარი შემოეხვივნენ და დიდი ვრამული ატეხეს — ეს რა მშვენიერი, ტანწურწუტა სტუმარი გვეწვიათ.

ალვას ჯერ შეეშინდა, დაიმორცხვა, გაიფიქრა — ხომ არ ვინაოს, აქ რომ მოვედო. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მისმა მოსვლამ ყველა გაახარა.

მისი სტუმრობა განსაკუთრებით მათეს გაუხარდა. ის გარს უვლიდა ალვას, ხოლო შემდეგ გადაწყვიტა, სამუდამოდ აქ დაეტოვებინა.

მათემ გაიფიქრა: «ალვის ხეს ისევე შეუძლია წახვლა, როგორც მოვიდა»: შინ შეიბრინა, გრძელი თოკი მოარბენინა, ალვის ხეს გამოსაბა, მეორე ბოლო კი თავის საწოლს მიაბა.

ალვას დატყვევება ძალიან ეწეინა, მაგრამ მალე მიხედა, რომ ეს მათემ სიყვარულით გააკეთა.

მას უკვე თვითონაც არ უნდოდა აქედან წახვლა. რამდენიმე დღის შემდეგ მათემ ალვის ხეს თოკი შესხსნა, რადგან თვითონაც დარწმუნდა, რომ ალვის ხე არასდროს აბიურებდა წახვლას.

ალუა მათეს ეზოს შუაგულში იდგა. იდგა და იზრდებოდა. იზრდებოდა და მშვენიერდებოდა.

განსაკუთრებით დაუმეგობრდა ალვის ხეს მათეს ეზოს ნიაგი. სულ მასთან იყო, აშრილებდა მის ფოთლებს და გარს ევლებოდა.

მაგრამ მათეს ეზოში ავი დედაბერი შემოვიდა, ალვას შემოუარა, მერე გაიხრდა და თქვა:

— ნეტა რად უნდათ ეს ხე შუაგულ ეზოში, არც ჩრდილი აქვს, არც ნაყოფი.

თქვა და წავიდა.

— სამაგიეროდ ტანწურწუტა და ლამაზი ვარ და მათეს ძალიან გუყვარვარ... ჩემი ფოთლები შრიადევენ. — გაიშრიალა გულანტკემა ალვამ.

მაგრამ მისი სიტყვები ავ დედაბერს არ გაუგონია. იქნებ გაიგონა კიდევ, მაგრამ წაუყრუა, მგლის ყური გამოსაბა და ამით კიდევ უფრო დასწვავიდა გული საბარალოს.

მოიწვინა ალვის ხემ, აღარ იცოდა, რა ევლნა. ისიც ძალზე შეეწვია გზოს და გული უკვდებოდა, რომ არ ჰქონდა ჩრდილი და ნაყოფის გამოღებაც არ შეეძლო. თავი უხერხულადაც კი იგრძნო შუაგულ გზოში მდგარმა. ნიადაც ვერ გაუზარა და რდი, თავისი ხილმასზე უკვე არაფრად მიაჩნდა...

და გადაწვიტა პატარა ალვის ხემ, გასცლოდა ამ ადგილებს.

ახეც მოიქცა.

მათე როდესაც შინიდან გამოვიდა, ეხო უჩვეულოდ დაცარიელებული მოეჩვენა. მერე მიხვდა, რომ მისი ალვის ხე აღარ იდგა შუა გზოში.

მათე მწარედ ატირდა. საშინელი ვეგები გულსა და სულს უღრუნდა: «მომიტოვა ჩემმა ალვის ხემ. უფრო ღამაზე და დიდ ეზოშია ახლა და სხვასთან შრიალებს. მობეზრდა ჩემთან...»

მათეც გარეთ გამოხედვაც აღარ უნდოდა.

მოიწვინეს მათეს მოზიანდრებმაიც, მგლოვიარესაკეთი დადიოდნენ ისინი. ძალი არ ეყვდა. კოჭლი ანკარა ლოდებში იჯდა და იგრძნებოდა. მათეს გზოს ნაწიცი თავგზაბანუელი დაბორილობდა, მერე კი სახლის ქვეშ შეიფუკა.

არაფერ იცოდა ალვის ხის გაქრობის მიზეზი.

გაეფიდა დრო.

ერთ დღეს მათე აივანზე გამოვიდა და დიანახა: შუაგულ ეზოში, ალვის ხის ადგილას, იდგა ტოტემ-დაგრებილი ხე.

მათეც კიბე წაიბრინა და ხეს შემოურა. ხეს სამიოდ დაგრებილი ტოტზე სამი ნაყოფი ება — თითოზე თითო. ნაყოფს გარედანვე ეტყობოდა, რომ გემრიელი უნდა ყოფილიყო.

ამ დაბალ, ტოტემდაგრებილ ხეში მათეც ძლივს შეიციონ თავისი ალვის ხე. მას თურმე ღვდვისაგან ესწავლა ნაყოფის გამოღება, ოღონდ ტოტებზე ეტყობოდა, რა ტანჯვა-ვაებით შობა ისინი.

მათეც ცრემლები ევლარ შეიკაეა, რადგან ყველაფერს მიხვდა.


— როგორ გატანჯულხარ, ჩემო ძვირფასო! განა მე შენი ნაყოფი მინდოდა? მე მხოლოდ შენი ბუნდირება მსურდა.

როცა ავმა დედაბურმა მცირეევერ ჩამოიარა, ღვდვადქვეულ ალვის ხესთან შეჩერდა და ჩაისითხთა:

— ეს გაუკა ხის ხაარული? — და წავიდა. ეს იბიტომი თქვა დედაბურმა, რომ ალვის ხე ერთ ადგილას მდგარიყო, დიდ ალვებთან არ მისულიყო და არ დაეზრუნებინა თავისი ადრეული ხილმასზე.

და ამ დღის შემდეგ, ტოტემდაგრებილმა ალვის ხემ ეგვი ევლარ მოიციკა. მან მხოლოდ ახლა გაიყო, რომ ხის ხაარული არ შეიძლებოდა. მან უკვე იცოდა, რომ ერთ ადგილას უნდა მდგარიყო, აქვე უნდა მოესხა ნაყოფი და, აქვე უნდა გამხმარიყო ზეზურად. უკვე იცოდა ღვდვადქვეულმა ალვამ, რომ ერთ ადგილზე დგომა არის მისი ყველაზე გრძელი გზა.

მატრამ ავმა დედაბურმა ის არ იცოდა, რომ ალვა ბუნდირი იყო, რადგან ხილმასზე სიყვარულს შესწირა...



მბარბეუსი

გიორგი შთავაზრი

— ღვა-ღვი!

— ღვა-ღვი!


ვაგონს მისდევს ვაგონი,
ახლოს ჭალა და ვაკვა,
შორს ტევა და შთა-გორი.
სან შოუსვევს,
სან შოუსვევს,
სან ჩაუსვევს ფრთამალად,
მირს დაღანებს ჰურის უანა,
ცად — ლაქვარდის კაპრა!
გავიარეთ ხეობები,
დაბლა ლელეს ჩავცილდით
და თანდათან ჩემს სოფლამდე
სულ მცირდება მანძილი.
კიდევ ცოტაცა —
და ვვრძნობ სიოს
ჩემი შთიდან შობერდის,
ჰა, სადგურიც!
მე ჩავდივარ!
ავერ ჩემი სოფელიც!



ორმოტრიალი

აიძინა მისლავა

ერთი ორომტრიალია
სულ არაფრის გამო:
თუ ვინ უფრო ძაღლია
ორი ციცქნა დაუბს.
დაუბს ჯინსე, თორემ აბა,
ჯანა რაძე უნდათ...
ზომეს, ზომეს, ვერ გაზომეს
ერთმანეთი ზუსტად.
შემოატყდით სახაზავი,
შემოემსხურათ სარკე.
— აქეთა ჩანს უფრო ავი!
— არც იქითა ავლებს!
სიმათლე ვერ დადგინდება
მოჩხუბრების ხელში.
ღღე ღაღღე გადავიდა,
ღაღე კიღღე — ღღეში.
თუ ვინ უფრო ძაღლია,
ორი ციცქნა დაუბს.
სახლში ორომტრიალია
ტყუპი მძეპის გამო.



ყველამ იცის მუხრან მაჭავარიანის სახელი — ბავშვმაც და დიდმაც.

ბავშვმა — უწინარეს!

რადგან თვითონ მისთვის ბავშვით იწყება ყველაფერი, რასაც მისი გული და მისი ლექსი კურთხევას უთვლის — საქართველო, ქართველი, ქართული...ვისაც არ უნდა მიმართავდეს, უწინარეს ყოვლისა, ბავშვს ეუბნება თავის სათქმელს, რადგან სწამს მისი სამომავლოდ დაქალაქა-დავაუჯაცების...

სწამს:

შენში უთუოდ სცემს ბოლთას სისხლი, შოთა რომ იყო, რუსთველი, — მისი...

სწამს: შენს ხელშია, თუ რა იქნება საქართველოში „აწი, დღეის შემდეგ, დღეის ამას იქით...“

სწამს: შენშია გადმოსული ქართული სისხლი, ქართული სული,

ქართული სიტყვა,
ქართული გული...

აგერ უკვე ორმოცი წელია, მუხრან მაჭავარიანის ლექსი ხმაურობს საქართველოში. ამ ხნის განმავლობაში მას დაუწერია საგანგებოდ თქვენთვისაც და თქვენზეც; ამაგი დაუდევს თქვენი საკითხავი უურნალებსათვის — „პიონერისა“ და, მეტადრე, „დილისათვის“, რომლის რედაქტორიც იყო წლების მანძილზე; იმაზეც უზრუნია, ცალკე წიგნაკად მოეწოდებინა პატარებისათვის ზოგი რამ, რაც „შენს სამშობლოსა და მშობლიურ ენას გადახდა“.

თავის შედგენილ საყმაწვილო კალენდარს მან „მთიები“ დაარქვა. მთიები ციხის ვარსკვლავია, სულხან-საბას სიტყვით — „განმნათლებელი, გინა მათენებელი“; ის კაშკაშა ვარსკვლავი, რომლისკენაც „თავგამეტებით ისწრაფვის ტოროლა...“ და მუხრან მაჭავარიანმა ამითაც თავისებურად გითხრა, რომ დიდი მიზნისკენ თავგამოდებით უნდა ისწრაფოდეთ; რომ მამულს უნდა გამოადგეთ

ან
სიცოცხლით,
როგორც ვაჟა!
ან
სიკვდილით,
როგორც ცხრა ძმა!

„სალამი ბავშვებს! გულმხურვალე სალამი ბავშვებს!“ — გესალმებათ და გლოცავთ მუხრან მაჭავარიანი განთიადთან ერთად დაბადებულ პატარებს, უაუაროსავით მშვენიერ პატარა ქალიშვილებს და გონიერ ბიჭუნებს...

თქვენ იცით და თქვენმა სწავლამ, თქვენ იცით და თქვენმა შრომამ!

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!

ეს ჩემი ლექსი, ბავშვებო,
არც შემოდგომას ეხება,
არც სურათია წამთრისა,
არც გაზაფხულის შექება.
ეს ლექსი გასლავთ ბუვი —
მე გამოვდივარ ძაგებით
იმ თქვენი თანატოლების,
იმ თქვენი ამხანაგების,
საუბედუროდ, რომელნიც
ისე აღზრდილნი არიან,
ქართულად ხმას ვერ იღებენ,
რუსულად — გავიხარია!
რუსულის ცოდნა, იცოცსლე,
სახანრიგო რამ არი,
მაგრამ ეს უნდა იცოდე —
მშობლიურია მთავარი.
ენა არ გაწვევენ არც ერთი,
უნდა იცოდე რამდენიც;
ოღონდ არ უნდა დაჰკარგო
ქართული სიტყვის ნათელი!
მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,



რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ასერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.
ვინც არც იცის და არც უნდა
იცოდეს ჩვენი წარსული;
ვინც ვერც ხმას იღებს ქართულად,
არც სხვისი ესმის ქართული.
განა იმისთვის იბრძოდნენ
წარსულში მამა-პაპანი —
დღეს შეიღმა აღარ იცოდეს
სისწლით დაცული ანბანი?!
თუკი წინაპარს შანთებით
ვერ დაავიწყეს ქართული,
თუ დღესაც მღერის ქართველი
ფერეიდანში ფანდურით,
შენ აქ რა დემორთი გავიწერა,
ვინ იყო შენი გამხრდელი,
შენი კულისთვის დამიწდა
როცა ამდენი ქართველი?!

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ასერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.



დავით აღმაშენებელი



ქლეპანი საბშირგელი

შოთა ბაღრიძე

ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო დავით მეფე, როცა დიდი და ძლიერი ლაშქარი შექმნა. მან მამაცურად შეუტია აღმოსავლეთ საქართველოში

ჩამოსახლებულ თურქებს და თანდათან ვან-დევნა ისინი რუსთავიდან, თბილისის სამხრეთ ციხეებიდან, სამშვილდედან...

მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ხალხს ხომ პურ-ღვინო და ხორცი, ყველ-ერბო და ხილი, ჩასაცმელ-დასახური და თავშესაფარი, წიგნი და ტაძარიც უნდა პქონოდა. ამას კი მშვიდობიან შრომაში ჩაბმული მუშახელი სჭირდებოდა. ამიტომ, დავითი, თურმე, ვაჟმდებულ საგონებულში იყო, როგორ მოვიტყე, რომ ლაშქარიც საკმაოდ შეავდეს და მუშახელიცაო.

სწორედ იმ დროს ყივჩაყთიდან ამბავი ჩამოიტანეს, მათ ქვეყანაში დიდი ამბები ხდებოა. დავითს ცოლად შეავდა ყივჩაყთა შთავრის ათრაქას ასული, გურანდუხტი.

ყივჩაყები რუსეთის სამხრეთით, ტრამალებში მობინადრე მომთაბარე ხალხი იყო. ჰყავდათ დიდძალი საქონელი და მრავალრიცხოვან ოჯახებად ცხოვრობდნენ. ისინი განთქმული მეომრებიც იყვნენ, ხშირად შეიჭრებოდნენ ხოლმე რუსეთის ფარგლებში და დიდძალი ტყვეებითა და ნაძარცვით ბრუნდებოდნენ.

ბოლოს რუსებმა დიდ ლაშქარს მოუყარეს თავი და ყივჩაყებისკენ დაიძრნენ, საშინლად ააწიოკეს ისინი და სრული განადგურებითაც დაემუქნენ.

ეს რომ დავით მეფემ შეიტყო, ყივჩაყებს შეუთვალა, ჩემს სამეფოში გადმოსახლდითო. ყივჩაყები დათანხმდნენ.

დავითმა საქართველოში მათი 45000 ოჯახი გადმოიყვანა და ქვეყნის განაპირა ადგილებში დაასახლა. ამერიდან ყივჩაყთა თითო ოჯახი-დან თითო კაციც რომ გაეყვანა საღაშქორდ, 45 ათასი ცხენოსანი მებრძოლი მუდმივად შეავდა. ყივჩაყებით გაძლიერებულმა დავითმა ახალი სიმხნით შეუტია თურქებს.

ის ახლა უკვე თბილისს უტრიალებდა და მის აღებას ცდილობდა. ეს კი ერთბაშად ქვეყნის სიძლიერე, როგორცაგ აგურ უკვე ოთხასი წელი სრულდებოდა, თბილისს არაბები ეპატრონე-

ბოდნენ. მაჰმადიანმა თავაკებმა, რომლებიც თბილისს განაგებდნენ, ელჩები გაგზავნეს ირანისა და არაბეთის მაჰმადიან მმართველებთან, გვიშველეთ, თორემ დავით მეფე სულ გარს გვიტრიალებს და ვაი თუ თბილისი წაიღოსო. შემფოთებულმა მაჰმადიანებმა დიდძალი მხედრობა შეჰყარეს და საქართველოსკენ დაიძრნენ.

მაგრამ არც დავით მეფე იჯდა უქმად. მან თავისი მხედრობა თრიალეთის მხრიდან მოშავალ მტერს დიდგორთან დაახვედრა. ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა მაჰმადიანთა 300 ათასიანი და ქართველთა 60 ათასიანი ლაშქარი. დავითმა შთამაგონებელი სიტყვით მიმართა თავის მეთაურებს: — ძლიერ დმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიჯარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და მტერს არ გავქვცევითო.

დავითმა თავისი ლაშქრიდან ორასი მხედარი გამოყო და უბრძანა, მტრის ბანაკისაკენ ისე წადით, ვითომც წეშან გაქცეულები ხართ


და თურქებს ბარდებითო. თურქებმა მართლაც დაიჯერეს ეს და ორასი კაცი თავიანთ ბანაკში შეუშვეს. ქართველებმა კი იარაღი იშვიშვეს და მტერს ეკვეთნენ. იმდენად მოულოდნელი იყო ასეთი კვეთება, რომ თურქები აირივნენ. ამ დროს მტრის განლაგებას დავითის მთავარმა ლაშქარმაც შეუტია და მალე ქართველებმა მუსრი გაავლეს თურქებს. ეს იყო 1121 წლის 18 აგვისტოს. ამ გამარჯვებას „ძლევაი საკვირველი“ (საკვირველი გამარჯვება) უწოდეს.

ამის შემდეგ დავითს წინ ვინღა დაუდგებოდა!

ერთი წლის შემდეგ, 1122 წელს, მან თბილისიც აიღო და ერთიანი საქართველოს, როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე — სრულიად საქართველოს დედაქალაქად აქცია.

მალე დავითი სომხებსაც დაეხმარა და თურქებისგან გაათავისუფლა მათი ყოფილი დედაქალაქი ანისი.

საქართველოში მშვიდობამ, სიხარულმა და ბედნიერებამ დაისადგურა.



ნინო ლონდარიძე

გაზაფხულის თბილი დილა იდგა. ერთ ვიწრო ქუჩას, სადაც გაზონების ბალახს ჯერ კიდევ შერჩნოდა წუხანდელი წვიმის წვეთები, მერცხლების გუნდმა გადაუფრინა.

— აუკ! აგაშენათ ღმერთმა! — დალოცა ტანმადღმა ცაცხემა, — მაგათი ხმის გაგონება გულს მიცის კროფნებს!

— მაინც რა ბედნიერები არიან! — ხასწრაფოდ გამოეპასუხა ტანსქელი ჭადარი, — წაფლენ, მოივლიან უცხო ქვეყნებს და სამშობლოში გაზაფხულთან ერთად ბრუნდებიან! — ალბათ რა კარგია ფრთები! — თავისთვის ჩაილაპარაკა ტირიფმა.

— ნეტავი შენთვის რა მნიშვნელობა აქვს! ფრთებიც რომ გაჩუქონ, მაინც ეგეთი ცხვირჩამოსვებული იქნები! — გასძახა ჭადარი.

— ფრთები რომ მიქონდეს, საიდან იცი, როგორი ვიქნებოდი?! — გაიფიქრა ტირიფმა, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

— მაინც რა საინტერესოა, როგორია ნეტავ სხვა ქუჩები? — დაინტერესდა ცაცხევი.

— ალბათ ასეთივე! ყოველი ქუჩა ხომ ერთიმეორის გაგრძელებაა! — თქვა ჭადარმა, — თუმცა სინამდვილე ვარსკვლავებს უფრო ეცოდინებათ, ციდან ხომ ყველაფერი ხელისგულივით მოჩანს!

— მე ვიცნობ ერთ ვარსკვლავს, — გაისმა ვიღაცის ხმა გაზონიდან.

ბუნქებმა და ხეებმა ქვევით დაიხედეს და ტირიფის ძირას პატარა გუბე დაინახეს.

— შენ ალბათ წუხელ წვიმასთან ერთად გაჩნდი! — ყველას დაასწრო ცაცხემა.

ნაშუალამეფს, როცა წვიმამ გადაიღო და ღრუბელიც მიმოიფანტა, იმ პატარა გუბეში ციდან ერთი ვარსკვლავი აირეკლა. გულუბრყვილო გუბემ იფიქრა, მე მეხტუმართ და გაინაბა, რომ არ დაეფრთხო, მაგრამ გამთენიისას მისი საოცარი სტუმარი მაინც უკვალოდ გაქრა.

გუბისა და ვარსკვლავის ნაცნობობის ამბავი არავინ დაოჯერა: — შენ რა დაგეჯერება, ისე ცოტა ხნით მოდიხარ, შუადღისას, მზე რომ დააცხუნებს, გაგაქრობსო!



შატვარი თაბაზ ხუსიშვილი

გუბეს გული მოუკლა ამ სიტყვებმა და ტირილი დააპირა, მაგრამ შეეშინდა: ისედაც თრი მუჭა ვარ და ცრემლად რომ დავიღვარო, შუადღემდე ველარ მივადწეო და თავი შეიკავა. მხოლოდ ტირიფს შეეცოდა გუბე და ტოტებით უფრო ძლიერად დანრდილა, რომ მისი ვოფნა დედამიწაზე ცოტა ხნით მაინც გაეხანგრძლივებინა. ამ დროს, სად იყო და სად არა, ქუჩაში პატარა ლეკვი გამოჩნდა. იგი სადღაც მიიქაროდა, მაგრამ, როცა პატარა გუბეს გაუსწორდა, შედგა და საცოდავად მიაჩერდა.

— რა გინდა?! — ჰკითხა გუბემ თანაგრძნობით.

— სახლის გზა დამეკარგა და ძებნაში ისე მომწყურდა, ლამის წავიქეცი! — დაიწკაწკავე ლეკვმა.

გუბე არც დაფიქრებულა, ისე შესთავაზა ლეკვს, — მოდი და შემსვიო!... ლეკვმა ცოტა უხერხულობა იგრძნო, მაგრამ გუბემ დაამშვიდა: — ნუ გერიდება! სადაცაა მზე დამაშრობს და მირჩვენია, სანამ გაეჭრებოდე, ერთი კეთილი საქმის ჩადენა მაინც მოვასწორო!

მაშინ ლეკვმა აღარ დააყოვნა და დაეწავა... ვარდისფერი პატარა ენით ხარბად სვამდა წყალს...

გუბე სულ უფრო პატარავდებოდა, მაგრამ სულაც არ ნაღვლობდა ამას, რადგან პატარა მწყურვალი ლეკვი მართლაც მთელი გულით შეებრალა. როცა ლეკვმა სული მოითქვა, მადლობა უთხრა ერთ მუჭად ქცეულ გუბეს და გზა გააგრძელა... ამასობაში მზემ უფრო ძლიერად დააცხუნა და კეთილმა გუბემ იგრძნო, რომ სულ მალე დაშრებოდა...

— სულის მოთქმაც ვერ მოვასწარი, მაინც რა მალე ეჭრებო! — იფიქრა და თვალეზი დახუჭა...

მაგრამ ამ დროს მზის ერთმა პატარა სხივმა, რომელსაც დაენახა, თუ როგორ გაიღო გუბემ თავისი ისედაც დათვლილი წვეთები მწყურვალი ლეკვისათვის, გადაწყვიტა ეშველა მისთვის... იგი თვალის დახამხამებაში გუბესთან მიიჭრა, ვიდრე სულ მთლად ამოშრებოდა, მაღლა აიტაცა და მოწყენილი ტირიფის ფოთლებს სინარულის ცრემლებად ჩამოურიცხა...



საქართველოს ქვეყნი

მშვიდობა და მშვიდობიანი

კლპინიზმი

ნოდარ გუგუშვილი

დედამიწის ზურგზე არც ისე ბევრი მთაა. მთელი ხმელეთის მხოლოდ ორი პროცენტი მდებარეობს ზღვის დონიდან 2 კილომეტრზე უფრო მაღლა. მათ შორის სულ თოთხმეტია გოლიათი მთები — ეგრეთ წოდებული რვათასიანები და რამდენიმე ასეული — შვიდათასიანი მწვერვალი. ადამიანმა სწორედ ამ უმაღლეს მთებს მიაპყრო პირველად მშენარ, ვინაიდან უფრო მაღლა ამოუცნობი სამყარო — ღმერთების სამყოფელი ეგულებოდა.

მთის მასივების დაწვერვა და დალაშქვრა საუკუნეების წინ დაიწყო ქარისკაცებმა, ვაჭრებმა და ბერებმა... წმინდა სპორტული ასვლები კი მოგვიანებით, დაახლოებით XI საუკუნის მიწურულს განხორციელდა. 1492 წელს ვინმე ანტუან დე ვილმა, რვა თანმხლებ პირთან ერთად, რომელთა სახელები ისტორიისათვის, სამწუხაროდ, უცნობია, დაიპყრო ალპების ერთი პაწაწინა, 2097 მეტრი სიმაღლის მწვერვალი — მონტ-ეგიუ. მაგრამ შთამომავლობამ რატომღაც დაივიწყა ეს ასვლა და ალპინიზმის დაბადების თარიღად გამოაცხადა 1786 წელი, როცა შვეიცარიელები მ. პაკარი და ჟ. ბალმა

მონბლანზე ავიდნენ. რაკი პირველი ხართო ასვლების ასპარეზი ალპებში იყო, სპორტის ამ სახეობას ალპინიზმი ღმერთებსა. სხვათა შორის ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში მცხოვრები კელტების ენაზე ალპები მწვერვალს ნიშნავდა.

მარადთოვლიანი მწვერვალების სიდიადე აღრიდანვე აფორიაქებდა ქართველი კაცის სულსა და ფანტაზიასაც. არსებობს ცნობა, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მუინვარწვერზე ასულა ვინმე იოსებ მოხევე.

ალპინიზმის განვითარება რუსეთში მთების ბუნების შესწავლასთან იყო დაკავშირებული. 1829 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ დიდი ექსპედიცია მოაწყო იალბუზზე, მაგრამ მწვერვალზე ერთადერთი ადამიანი, მთიელი გამყოლი, უაბარდოელი ქილარ ხაშიროვი ავიდა. შემდეგ, 1868 წელს, მუინვარწვერზე,



უშაზე, შხარაზე და კავკასიონის სხვა მწვერვალებზე ავიდნენ ალპებში გაწაფული ევროპელი მთამსვლელები...

საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას საქართველოში ჩაეყარა საფუძველი. 1923 წლის 28 აგვისტოს ქართველ მთამსვლელთა ჯგუფმა გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოაწყო ასვლა ევროპის ერთერთ უმაღლეს მწვერვალზე, მყინვარწვერზე. ამ ასვლის ზუსტად კვირისთავზე მყინვარწვერი დალაშქრა მთამსვლელთა კიდევ ერთმა ჯგუფმა — საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიციამ პროფესორ ალექსანდრე დიდებულის ხელმძღვანელობით. შეიქმნა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, რომლის მთავლა—მგზავრობის განყოფილება

პირველი ალპინისტური ორგანიზაცია საბჭოთა კავშირში.

ალპინისტთა შორის განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიება ახალგაზრდადიელ ედმუნდ ჰილარისა და შერპ თენსინგ ნორგეის სახელები. ჰილარი პროფესიონალი ალპინისტი იყო, ნორგეი — პროფესიონალი გამყოლი. და აი, ამ დიდებულმა წყვილმა 1953 წლის 29 მაისს დაიპყრო მანამდე დაუმორჩილებელი ჯომოლუნგმა (ევერესტი) — პლანეტის უმაღლესი მწვერვალი.

მრავალი ასეთი გმირული მაგალითით არის მდიდარი ალპინიზმის ისტორია, მაგრამ მასში ბევრი სევდიანი ფურცლის ამოკითხვაც შეიძლება. წმინდად და სასოებით ინახავს მთამსვლელთა გამარჯვებებისა და ტრაგედიების ამბავს სპორტის ისტორია.



თეძო-მოყვარე

თამაშ ახალისე

რა უოფილა ბიჭი თეძო — გაუსინჯა აუხს გემო, უკვე იცის ცურვის ფასი, აითვისა კროლი, ბრასი, რას მიქვია მეტრი ასი თუ წვალშია თევზის მსგავსი! ფეხი — ბასრი, მკლავი — ბასრი, ახლავ უჩანს კარგი კლასი, სიკვლები დაუგროვდა, მოუქნადეთ ბროლის თასი...

მზატარი ელზარ აბოშაძე

ბეჭა-ფახსურთელი

როგორც ქუხილი და როგორც ჭკუა მეტოქის კარს რომ დაბტულა ბეჭა, აღარც ანსელა, აღარც აცია, მუის მოიქნია მარჯვედ ცაცია, ბურთი იმ დარტემით ისე ასწია — მივ დამიხნებულ „ცნრიანს“ აწვია.





ბულბული

ბორის ქობრაშვილი

გაზაფხულის ნათლისმცემელი კვერთხი შეხება მთის ტყეებს. ხეები და ბუჩქები ნორჩი ფოთლებით შემოსილან. ტყის პირებსა და ჭაღლებში წითლად ლაპლაპებენ ყაყაჩოები, გათბარ ბორცვებზე ოქროს ვარსკვლავებივით ციმციმებენ ჩიტოსთავეები, ნორჩი ბალახიდან შეშინებული იყურებიან ლურჯთვალა ბოსტნის იები.

ამ დროს, — ჩვეულებრივ დამით, — შორეული აფრიკიდან სამშობლოში ბრუნდებიან ბულბულები. პირველნი მოფრინდებიან მამლეები და სწორედ იმ ადგილებს იკავებენ ბუჩქნარში, წყლისპირებში, ქალაქის პარკებსა და ბაღებში, სადაც გაფრენამდე ბულობდნენ. მალე, დამითვე, მამლეების კვალდაკვალ მოფრინდებიან დედლებიც. და აი, მათი გულების დასაპყრობად იწყება ბულბულების გასაოცარი, უმშვენიერესი კონცერტი. ჯადოსნურია ამ დროს ტყე.

თითქმის ყველა ფრინველი სიმღერის დროს ხის ან ბუჩქის კენჭროს ირჩევს. ბულბული სხვაგვარად იქცევა — ბუჩქებში შეკუჟული, ამჯობინებს შეუმჩნეველი დარჩეს. ბულბულის მოკრძალება მარტო ხასიათში კი არა, შეტუმბლვაშიც გამოიხატება. მას მოყავისფრო

ვანგისფერი ზურგი აქვს და მოყვითალო-ბაცრისფერი, ცოტა უფრო მუქ წითელი-მარცხენი გული. შეფერილობით დედალ-მამალი ბულბული არ განირჩევიან ერთმანეთისაგან, გალობის ნიჭით კი მხოლოდ მამრია დაჯილდოებული, წარმოიდგინეთ ზოგ მათგანს 30 და მეტი მუსიკალური ფრაზის შესრულება შეუძლია. სიმღერის შესანიშნავ ხელნევენას დაბადებიდანვე კი არ ფლობენ ბულბულები, უფრო ხნოვანთ უსმენენ დავარჯიშობენ, სწავლობენ... აი, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი, არ მოეშაღოთ მათი საყვარელი საბუდარი ადგილები.

ბულბულები საკმაოდ ამტანები არიან და





ძალიან იშვიათად დავობენ ერთმანეთს შორის. სხვა ჩიტებთანაც კეთილმეზობლური დამოკიდებულება აქვთ, თუმცა თავიანთ სამფლობელოში უცხო, დაუპატიჟებელ სტუმრებს ვერ იტანენ.

ზოგიერთი ბუღბული ბუდეც აშენებს მიწაზე — გამხმარ ფოთლებზე; მშენებლობისათვის წვრილ ტოტებსა და ღეროებს იყენებს, ბუდეც შიგნიდან აფენს გამხმარ ბალახს, ცხენის ძუასა და სხვა მცენარეულ მასალას. მდედრი ბუდეში დებს 4-6 მომწვანო-მოყავისფრო კვერცხს. კრუხობს 13-14 დღის განმავლობაში. იმ ხანებში ადარ გაისმის მხურვალე ღამის რომანსებში. მას ცვლის ოჯახის თავის დაუღალავი ზრუნვა ბუდის უსასურთხოებისათვის. თუმცა დღის განმავლობაში, მგობრის გასართობად,

ის ხანდახან კიდევ დაიმღვრებს ხოლმე... გამორჩეულ ბარტყებს მშობლები მატყობენ. თა და ჭიაღუთ კვებავენ. საშიშროების შემთხვევაში კი ამაღლევენელ თავგანწირვასა და მამაცობას იჩენენ.

მალე ბუღბულის ბარტყები დაფრთხილებიან და დამოუკიდებლად იწყებენ საკვების მოპოვებას.

შემოდგომის დასაწყისში ბუღბულები ოჯახებად, ზოგჯერ კი მთელ გუნდებად იწყებენ გადაფრენას შორეულ აფრიკაში. უცხოეთში ისინი უჩვეულოდ წყნარად და შეუპოვებლად ცხოვრობენ. მხოლოდ სამშობლოში, ახალ გაზაფხულზე, სიყვარულით აენთებათ ბატარა გულები და ეს სიყვარული მომჯადოებელ ჰანგებს პბადებს ღამეულ ტყეებში.



ლილი ზურაბაშვილი


**ბაკვეთილი მისა
ჰაეროვანი თვლები**

ქსოვის დროს ზოგჯერ ჰაეროვანი თვლების აკრეფაც გვჭირდება, მაგალითად, ჩიბის ჰორი-ზონტალური ჭრილისა და დილიკლოს გაკეთებისას, იაპონური სახელოს ქსოვისას და სხვა. ჰაეროვან თვლებს ჩვეულებრივ მარჯვენა ჩხირზე ვკრეფთ. გორგლიდან მომავალი ძაფი ხელის გულზე უნდა გადავტაროთ და ცერა თითზე გარედან შეიგნით შემოვიხვიოთ; მერე შევუყაროთ ჩხირის წვერი თითთან მოხვედრილ ძაფებს შუა, გადავიძროთ ძაფი თითიდან და გორგლის ძაფი ქვევით დავჭიმოთ. (სურ. №11).

გრძელი თვლები

ნაქსოვი რომ აუთრული, ანუ თხელი, ნახვრეტებიანი გამოვიდეს, ზოგჯერ საჭიროა გრძელი თვლების გაკეთება. თუ ნამატს მარჯვენა ჩხირზე ძაფის ერთხელ გადახვევა სჭირდება, გრძელი თვალი რომ გამოვიციდეს, ძაფი ორჯერ, სამჯერ და მეტჯერ უნდა გადავახვიოთ. ქსოვის დროს კი გადახვეულ ძაფს ერთ თვალად გამოვიღებთ. (სურ. №2).

აპტორის თხოვნიტ მონოტარი გაღარისცხემა ობოლ და უღელამო ბაჰვთა ფონოზი.



საქ. სსრ კ. მარტისი
სახ. სახ. კ. ნ. ბ.
ბ. ა. ლ. მ. ს. ა.



ქოლგიანი გოგონა

აპაიი წერეთელი


მეისტორიენი, სიძველეთა მკვლევარნი, გოლცებთი ეკითხვიან საკუთარ თავს: რა მიზეზი იყო და რით აიხსნება — ზეციური სასწაულით თუ ქვეყნიური გრძნეულებით, რომ საქართველომ, ამ პატარა ქვეყანამ, მოიგერია მასხედ მოხლეკეული მტერი, მტერი, რომელმაც გაუჭირვებლად დაამხო დიდებული ბიზანტია. ადვილი საპასუხოა: ეს სასწაული და გრძნეულება იყო ქართველი ქალი. ის ჭირშიც და ლხინშიც მეუღლეობას უწევდა ქმარს და შეიღებს გმირებად უმზადება მომავალს...

ერთხელ გოლოვინის პროსპექტზე ვიყავი, როცა უეცრად წვიმამ დაუშვა. პალტო არ მეცვა და ამიტომ ჩქარი ნაბიჯით გავწიე სასტუმროსკენ. უკანიდან ხმა მომესმა: — ბატონო აკაკი, შეიცადეთ! შეეჩერდი, მივიხედე და ჩემთან მოიჭრა ქოლგიანი ხელში ვიდაც თორმეტცამეტი წლის გოგონა და შემოთბუზა ქოლგა: — გამომართეთ ქოლგა და შერე მიბოძეთ.

— შერე თქვენ?

— მე არა მიჭირს-რა რომ დაფხველდე, და თქვენ ვაი თუ გაწყინოთ. რომ აღარ მომეშვა, გადავწყვიტეთ, ორიენი ამ ქოლგას შევფარებოდით და ისე მივსულიყავით ჩემს სადგურამ-

დე. სასტუმროს კარებთან გამოძეთხოვა და თავისი ქოლგიანად გაუღდა გზას. დრომანკვენი ვიცი ვინ იყო, რა ერქვა და რა გვარისა იყო, მაგრამ მისი უმანკო სახე — წმინდა სახე კოველეთის თვალწინ მიდგას და მჯერა, რომ ის გოგონაც იმ ქართველ ქალთა მოღვძისა იყო, რომლებმაც გადაარჩინეს ჩვენი პატარა ქვეყანა.



მხატვარი ელზარ ამბოკაძე

ქუჩაქაესი კაქაქაქა



ჭიქი

სამბროძველს ალკ მკ-ისა და ვ. ი. ლეონიძის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რმსპუშლიძის საბჭოს შიშნალი შიშროსკლასობისა-ვის.

გამოქმის 1904 წლიდან. საქ. კ. ცკ-ის გამოცემლობა.

შიშაერი რედაქტორი რმვახ 06:60733010

სარედაქციო კლდეია: მუშარდ ამო-ქაქმ, მინა ანობამ, ლეონი ბაბუა, სისოე გვიმირიამ, შირი დამიძა-შვილი, სოლომონ დეშინაძე, შიშრო, შიშრო მინა, გლა ლოსაბერიამ, მ-ვაქალა გრამიშვილი, ჯარბა ნაშო-რამი, მინაძე ნალაური (პ/შ. შიშრო), შიშო ძმობამ, შიშო ანაბინამ.

სამხატვრო რედაქტორი შიშრობო რიშრობი


ტექნიკური რედაქტორი შიშო ვარაძი

შიშამართი რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელე: ში. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/შ. შიშროის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებ-ისა 93-98-19.

გადაეცა ასაქუმობდ 20.03.89 წ. ხელმო-წერილია დისაბქლიდ 20.V.89წ. ქა-ღელის ზომს 60×90 ს. ფს. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შიშროვა №724

ელაზე სახატო
ჯმამდ ლოლშისი

«Дилла» («Утро») — еженедельный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии. Главный редактор Реваз Иванишвили (тел. 93-41-30). Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ №724



კიქიქი

შოთა ახარაძისაშვილი

დისარტეკლას ფერთა რიცხვი კიღურ ხმოვანს იკლებს. მეტე ერთი „ფიქარიც“ გაიხსენო, იქნებ: არც დაზგა აქვს, არც ხელები, ქსოვს კონტად და სწრაზად, მხსვერწლას დაუგებს ხოლმე მხესე, შენც გინახავს ალბობი; შეკრებამდე შოაკლდება წინა ორი ბეგრა, მაგრამ შინც ეს შარდა ვერ დასრულდა ჯერაც. თუ ანბანის მეთოთხმეტე ასოს დასვამ თაუში, უაღრესად ხანუკვარი სიტყვა არის მშინი.

კიქიქი

ოცდარვა ჯარისკაცია, მეთაური ჭავთ ხუთი, ვისაც ვერაზინ წარბოვა მოედანი და ბურთი. ძალდა საქართველოსი მითი ეოველი კუნთი, ფარ-ხმადლი რუსთაველისა მძეილობის მტრედთა გუნდი.

შოთა ახარაძისაშვილი

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ყუკუნქუ

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი მკითხველებო!

შურნალ „დიღას“ ხშირად მოსდის წერილები, რომლებშიც ჩვენი პატარა მეგობრები და დიდებიც—მომავლები, მასწავლებლები ვითხოვენ გამოკვლევანეთ ლექსები, მოთხრობები ან ნახატები.

გვსურს იცოდეთ, რომ ჩვენი შურნალი არასოდეს გავღავდა გავშვტა ნაწარმოებებს. რაც შეეხება ნახატებს, მათი შერჩევა და გამოკვლევანება გავშვტა სამხატვრო გალერეის თანამშრომელთა რეკომენდაციით ხდება.

უფროებს კი ვთხოვთ, საკუთარი შემოქმედება (ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები და სხვა) გამოკვიგავნონ მანქანაზე გადაბედილი, ამასთან მოგვავწოდონ რამდენიმე ნაწარმოები, რათა რედაქციის თანამშრომლებს საშუალება მიეცეთ, გააკვიონ გამოგვანელი მასალების ავტორთა ლიტერატურული აღლო, და თუ საპიროდ ჩათვალეს რამეს დაბეღვა, არჩევანის შესაქლებლოვა ეანეთ. (გაითვალისწინეთ ისიც, რომ პროზაული ნაწარმოები არ უნდა აღმებებოდეს მანქანაზე ინტერპალით გადაბედილ + გვერდს).

დაბოლოს, დიდ ბოდიშს მოგახსენებთ იმის გამო, რომ ვერ ვახერხებთ ვველას გავშვგვანეთ წერილოებითი კასუხები. ჩვენი რედაქციის კოლექტივი მცირეპიტხოვანია, კორესპონდენციების რაოდენობა კი — აურაცხელი.

შურნალ „დიღას“ რედაქცია.

ყუკუნქუ